

მაგთიკომი - მეორე ეტაპი

ქვეყანა:	საქართველო
პროექტის ნომერი:	49548
ბიზნეს სექტორი:	საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
შეტყობინების ტიპი:	კერძო
გარემოსდაცვითი კატეგორია:	C
საბჭოზე გატანის თარიღი:	4 ოქტომბერი 2017
სტატუსი:	გაიარა კონცეფციის განხილვის ეტაპი
პროექტის აღწერის გამოქვეყნების თარიღი:	31 აგვისტო 2017

პროექტის აღწერა

გამოიყოფა 40 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი მაგთიკომისთვის, რომელიც წამყვანი სატელეკომუნიკაციო ოპერატორია საქართველოში. სესხის თანხა რეტროაქტიულად მოხმარდება საქართველოში რეგიონული ინტერნეტ პროვაიდერის, დელტაკომის შექმნას.

პროექტის მიზნები

დელტაკომის მაგისტრალური ინფრასტრუქტურა და ფართო გეოგრაფიული დაფარვა სტრატეგიულად ერგება მაგთიკომის არსებულ ქსელს და აძლევს მას აქამდე აუთვისებელ ტერიტორიებზე რეგიონული გაფართოების ახალ, მიმზიდველ შესაძლებლობებს. მაგთიკომი მიზნად ისახავს საქართველოს 57 რეგიონში მუშაობის დაწყებასა და ინტერნეტისა და ინტერნეტ-ტელევიზიის (IPTV) სერვისების შეთავაზებას. კომპანიამ მიიღო მარეგულირებლის თანხმობა დელტაკომის შექმნაზე.

ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი

მოსალოდნელია, რომ პროექტი იქონიებს დადებითი ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტს ფართოზოლოვანი ქსელის საქართველოს რეგიონებში გავრცელებისა და ინტერნეტის ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობის კუთხით. ეს მნიშვნელოვანია საქართველოში ფიქსირებული ფართოზოლოვანი ქსელის გავრცელების შედარებით დაბალი მაჩვენებლის გათვალისწინებით (დაახლოებით 16 პროცენტი).

ინფორმაცია კლიენტის შესახებ შპს მაგთიკომი

მაგთიკომი წამყვანი მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორია საქართველოში და ის, ასევე, ერთადერთი ოპერატორია, რომელიც უზრუნველყოფს სამმაგ - მობილურ, ინტერნეტ და IPTV მომსახურებას. 2017 წლის მაისის მონაცემებით, კომპანიას 2.0 მილიონი მობილური მომხმარებელი ჰყავს და მობილური სერვისის სეგმენტში ბაზრის 40 პროცენტი უჭირავს. დაარსების დღიდან მაგთიკომი ასრულებდა გადამწყვეტ როლს ისეთი ქსელების განვითარებაში, როგორებიცაა GPRS (2001 წელს), 3G ქსელი (2006 წელს), სატელიტური მაუწყებლობა (2012 წელს), 4G/LTE ქსელი 2015 წელს და 4.5G ტექნოლოგია (2016 წელს).

EBRD-ის დაფინანსება

40,000,000.00 აშშ დოლარი.

40 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი მაგთიკომისათვის.

პროექტის ჯამური ღირებულება

პროექტის ჯამური ღირებულება კონფიდენციალურია.

გარემოს დაცვითი და სოციალური საკითხები

2014 წლის გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკის დოკუმენტის ფარგლებში, პროექტს მიენიჭა C კატეგორია. ტელეკომუნიკაციის ისეთმა სერვისებმა, როგორიცაა მოცემული პროექტი, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს გარემოს დაცვისა და სოციალური კუთხით. 2016 წელს წინა პროექტისათვის ჩატარებული გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ტექნიკური კვლევა (შემდეგში 'ტექნიკური კვლევა') ვალიდური და რელევანტურია ამ პროექტისთვისაც. უფრო მეტიც, პირველმა ყოველწლიურმა გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების ანგარიშმა, რომელიც 2017 წლის მარტში იყო მოწოდებული, ცხადჰყო, რომ წინა პროექტი აკმაყოფილებს ბანკის მოთხოვნებს. წინა ტექნიკური კვლევა ეფუძნებოდა კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიმოხილვას გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების კვლევის შევსებული კითხვარის, კომპანიის შიდა პროცედურების დოკუმენტაციის გაცნობისა და კომპანიის მმართველ გუნდთან ჩატარებული განხილვების გზით.

წინა პროექტის შედეგად იგეგმებოდა კლიენტის აქტივობების საგრძნობლად გაზრდა, მათ შორის, თანამშრომლების რაოდენობის 50%-იანი მატება, შესაბამისად, კვლევის მიზანი იყო იმის დადგენა, შეეფერებოდა თუ არა, არსებული პოლიტიკა და პრაქტიკა ოპერაციების ამგვარ გაფართოებას. ეს განხორციელდა არსებული კორპორატიული გარემოს დაცვისა და სოციალური მართვის სისტემების, განხორციელების შესაძლებლობებისა და მაგთიკომის მხრიდან შესრულების შეფასების გზით. ასევე შეფასდა ახალი აქტივების შექმნასთან დაკავშირებული პოტენციური გარემოსდაცვითი, ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და სოციალური (EHSS) რისკები და შემარბილებელი ზომების ადეკვატურობა.

ტექნიკურ კვლევას არ წამოუწვია რაიმე კონკრეტული გარემოსდაცვითი თუ სოციალური პრობლემა ახალი აქტივების შექმნასთან დაკავშირებით. მაგთიკომს გააჩნია შესაბამისი პროცედურები და ჰყავს თანამშრომლები გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების საჭიროებებზე რეაგირებისათვის. თუმცა, კვლევამ აჩვენა კადრების მართვის პრაქტიკის გაუმჯობესებისა და გარემოსდაცვითი, ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების მართვის უფრო სისტემური მიდგომის საჭიროება კომპანიის გაფართოების პროცესის ხელშესაწყობად. უფრო კონკრეტულად, კომპანიას მოეთხოვებოდა განევიტარებინა გასაჩივრების ოფიციალური მექანიზმი - საჯარო გასაჩივრების მექანიზმი ელექტრო მაგნიტურ ველებთან და ევროკავშირის WEED დირექტივასთან დაკავშირებით, ყოვლისმომცველი გარემოს დაცვითი, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მართვის სისტემის გაძლიერების გზით, ეროვნული კანონმდებლობისა და EBRD-ის შესაბამისი შესრულების მოთხოვნების თანახმად.

ზემოთ ხსენებულმა ყოველწლიურმა ანგარიშმა (2017 წლის მარტი) აჩვენა, რომ კომპანიამ განავითარა და გააძლიერა გასაჩივრების ოფიციალური მექანიზმი, ისევე, როგორც შესაბამისი ყოვლისმომცველი გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მართვის სისტემა, შესრულების მოთხოვნების თანახმად. ბანკი გაარძელებს კომპანის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების შესრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგს, ყოველწლიური ანგარიშისა და, საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე ვიზიტების მეშვეობით.

ტექნიკური თანამშრომლობა

არ იგეგმება.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

ანდრია ჯოხთაბერიძე

aj@magticom.ge

+995 32 217 15 05

+995 32 217 11 71

www.magticom.ge

პოლიტკოვსკაიას ქ. 7ა. 0186 თბილისი, საქართველო

ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე გთხოვთ, დაუკავშირდეთ კომპანიას.

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისათვის დაუკავშირდით EBRD-ის შესყიდვების დეპარტამენტს: +44 20 7338 6794; procurement@ebrd.com

ზოგადი საკითხები

EBRD-ის პროექტთან დაკავშირებული ისეთი ინფორმაციის მისაღებად, რომელიც არ უკავშირდება შესყიდვებს, დაუკავშირდით:

ტელ: +44 20 7338 7168
projectenquiries@ebrd.com

ინფორმაციის საჯაროობის პოლიტიკა (PIP)

ინფორმაციის საჯაროობის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია ევრობანკის მიერ ინფორმაციის გავრცელებისა და აქციონერებთან კონსულტაციების ისეთი გზები, რომლებიც ხელს შეუწყობს ევრობანკის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრებას.

[ინფორმაციის საჯაროობის პოლიტიკის დოკუმენტის ტექსტი](#)

პროექტის გასაჩივრების მექანიზმი (PCM)

[პროექტის გასაჩივრების მექანიზმი](#) EBRD-ის ანგარიშგების მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს ფიზიკური პირებისა თუ ორგანიზაციების საჩივრების დამოუკიდებელი განხილვის შესაძლებლობას. საჩივრები უნდა ეხებოდეს ევრობანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებს, რომლებმაც გამოიწვიეს ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი.

საჩივრის შეტანის პროცედურების გასაცნობად, გთხოვთ, ესტუმროთ პროექტის გასაჩივრების მექანიზმის [ვებგვერდს](#). საჩივრის შეტანასთან, ისევე როგორც რეგისტრაციისა და დაშვებადობის კრიტერიუმებთან დაკავშირებული კითხვებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ საჩივრების ოფიცერს (pcm@ebrd.com), გასაჩივრების მექანიზმის პროცედურების წესების შესაბამისად.